



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

10/03/2026



MES 5 26 0000289896

ბრძანება

თბილისი

2026 წლის საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულებისა და პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის N2/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N288374, 09.03.2026) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2026 წლის საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსი (შემდგომში კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსში წარსადგენი თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს სამეცნერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დავით ჩიჩუა და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი ნათელა პაპავა, ხოლო ფინანსურ კონსულტანტებად ფონდის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის სპეციალისტები თეონა ზაქაშვილი და მარიამ ჯაბნიაშვილი
12. დაევალოს ფონდის საერთვაშორისო თანამშრომლობის და საოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
13. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი



დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 10 მარტის №289896 ბრძანებით

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმების, ვორქშოფების, სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

2. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. საგრანტო კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულებისა და პროექტის შეფასების კრიტერიუმების“ მუხლი 1-ის მე-4 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (დანართი №9) მიხედვით მიენიჭა შემდეგი ნუმერაცია:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობისა და გრანტის მიღების უფლება აქვთ:

- ა) წამყვან ორგანიზაციას, თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ძირითად პერსონალს ერთობლივად;
- ბ) ძირითად პერსონალს – მეცნიერთა ჯგუფს.

განმარტება1: პროექტს ეწოდება ინსტიტუციონალური, თუ პროექტი წარმოდგენილია მუხლი 2, პუნქტი 1-ის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სუბიექტების მიერ.

განმარტება2: პროექტს ეწოდება ჯგუფური, თუ პროექტი წარმოდგენილია მუხლი 2, პუნქტი 1-ის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სუბიექტის მიერ.

შენიშვნა: ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში, კონკურსში მონაწილე სუბიექტები განსაზღვრულია ა.1- ა.6 პუნქტებით, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში კონკურსში მონაწილე სუბიექტი განსაზღვრულია ბ.1 პუნქტით.

ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში:

ა.1. პროექტს უნდა ჰყავდეს წამყვანი ორგანიზაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანი არის სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, წარმოადგენს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

ა.2. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ), რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ). თანამონაწილე ორგანიზაცია, წამყვან ორგანიზაციასთან ერთად, უზრუნველყოფს პროექტის ძირითად და დამხმარე პერსონალს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

ა.3. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი – გრანტის მიმღები საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ასრულებს/ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მაგისტრანტი, დოქტორანტი ან პირი, რომელიც გადის რეზიდენტურის კურსს;

ა.4. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე პროექტის ძირითადი

პერსონალიდან, რომელიც პროექტს განახორციელებს წამყვან ორგანიზაციაში და ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებს და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე. პროექტის ხელმძღვანელი შესაძლებელია ამავე დროს იყოს ახალგაზრდა მეცნიერი;

ა.5. პროექტს შეიძლება ჰყავდეს პროექტის კოორდინატორი –საქართველოს მოქალაქე პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე. პროექტის კოორდინატორი შესაძლებელია ამავე დროს იყოს ახალგაზრდა მეცნიერი;

ა.6. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში;

ჯგუფური პროექტის შემთხვევაში:

ბ.1. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომელთა შორის უნდა იყოს/იყვნენ პროექტის ხელმძღვანელი და/ან პროექტის კოორდინატორი. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალიც.

2. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადადმფინანსებელი – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ პროექტს.

3. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს ჩართული ერთსა და იმავე პროექტში პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტის კოორდინატორის სტატუსით ;

4. ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, ძირითადი პერსონალის სტატუსით არ შეუძლია იყოს ჩართული ამავე კონკურსის ჯამში ორზე მეტ პროექტში. პროექტში ჩართვა გულისხმობს, როგორც კონკურსში წარმოდგენილ, ასევე უკვე დაფინანსებულ და მიმდინარე პროექტებში ჩართვას.

5. ერთი და იგივე პირი, ერთსა და იმავე დროს, არ უნდა ხელმძღვანელობდეს ამავე კონკურსის ერთზე მეტ პროექტს. პროექტის ხელმძღვანელობაში იგულისხმება როგორც კონკურსში წარმოდგენილი, ასევე უკვე დაფინანსებული მიმდინარე პროექტების ხელმძღვანელობას.

6. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი სამეცნიერო ღონისძიების ჩატარება შესაძლებელია კონკურსის გამოცხადების დღიდან მინიმუმ 4 თვის შემდეგ და მაქსიმუმ კონკურსის გამოცხადების დღიდან 18 თვის ჩათვლით პერიოდში.

7. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. ერთი პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს:

ა) კონფერენციების, კონგრესების, ფორუმებისათვის და სიმპოზიუმებისათვის 70 000 ლარს;

ბ) სამუშაო შეხვედრების, ვორქშოპების, სემინარების და სხვა სამეცნიერო ღონისძიების მოწყობისათვის 50 000 ლარს.

2. პროექტის ბიუჯეტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- გ) ღონისძიების მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;
- დ) ღონისძიების მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;
- ე) ღონისძიების მონაწილეთა კვების ხარჯი;
- ვ) ღონისძიების მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
- ზ) ღონისძიების ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
- თ) ღონისძიების მასალების დაბეჭდვის ხარჯი;
- ი) ღონისძიების სინქრონული თარგმნის ხარჯი;
- კ) სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.);
- ლ) ზედნადები ხარჯები- პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო გრანტის მიმღები იურიდიული პირის მიერ გასაწევი არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც შეადგენს ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების არაუმეტეს 5%-ს. ზედნადები ხარჯები ეხება მხოლოდ ინსტიტუციონალურ პროექტებს.

3. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.

4. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება და დამხმარე პერსონალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შრომის ანაზღაურება ერთობლივად უნდა შეადგენდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს.

5. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის ანგარიშის წარდგენის დროს ფონდში წარადგინოს პროექტით გათვალისწინებული და საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტები) თანხების ამსახველი საგადახდო დოკუმენტები.

6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

7. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

8. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას და/ან ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტი ელექტრონულად უნდა დაარეგისტრირდეს პროექტის ხელმძღვანელმა ან პროექტის კოორდინატორმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System].

2. პროექტი შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

- ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი №2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
- ბ) საპროექტო წინადადება (დანართი №3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
- გ) პროექტის ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის- ინგლისურ ენაზე. ქართულენოვან CV-ში პუბლიკაციების, სამეცნიერო ღონისძიებების, პატენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გამოქვეყნების ენაზე. ინგლისურენოვან CV- ში შესაძლებელია ეს ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ინგლისურად, ფრჩხილებში სტატიის გამოქვეყნების ენის მითითებით. ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში და ექსპორტირდება PDF დოკუმენტის ფორმატით (საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის შემთხვევაში დანართი №4¹, უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის შემთხვევაში დანართი №4²). საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის ქართულენოვანი CV იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის შემთხვევაში, ინგლისურენოვანი CV და მისი ქართული თარგმანი (PDF ფორმატით) გაერთიანებული ფაილის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას.
- დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი №5, ივსება GMUS-ში);
- ე) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (დანართი №6, ივსება GMUS-ში);
- ვ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული. სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.
- ვ.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი №7-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
- ვ.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი №7-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;
- ზ) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ის ან შპს-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2026 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. (შპს-ს სტატუსი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებს).

თ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის, მაგისტრანტის ან რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში, ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან გაცემული 2026 წელს); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს მისი ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და აკადემიური ხარისხი უნდა დასტურდებოდეს იმ ინსტიტუციის ოფიციალური ვებგვერდით/ცნობით, რომელშიც ის მოღვაწეობს. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

3. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი №8, გენერირდება GMUS-ით):

ა) ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში, პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება უნდა იყოს დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით;

ბ) ჯგუფური პროექტის შემთხვევაში, წარმომდგენი ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერებით.

4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

4.1 ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა;

ბ) ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა, რომ არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

4.2 ჯგუფური პროექტის შემთხვევაში:

ა) პროექტის ხელმძღვანელის ან პროექტის კოორდინატორის ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა;

ბ) ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა, რომ არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

5. თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

6. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია – 2026 წლის 13 მარტიდან 3 აპრილი 16:00 საათამდე;

ბ) პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2026 წლის 8 აპრილი 18:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge>. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

გ) პროექტის რეგისტრაცია საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსზე, კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა, ბ, გ, დ, ე, ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა.

3. ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში ელექტრონული რეგისტრაცია გულისხმობს მუხლი 5, პუნქტი 2-ის ა), ბ), გ) ქვეპუნქტების შესრულებას, ხოლო ჯგუფური პროექტის შემთხვევაში- ბ) და გ) ქვეპუნქტების შესრულებას.

4. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების (ამობეჭდილი ვერსიის) წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისად დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით – 10 მარტი;
- ბ) პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია – 2026 წლის 13 მარტიდან 3 აპრილი 16:00 საათამდე;
- გ) ჯგუფური კონსულტაციები - ზუსტი თარიღი და დრო გამოქვეყნდება ფონდის ვებგვერდზე;
- დ) ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა – 2026 წლის 8 აპრილი 18:00 საათამდე;
- ე) კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონკურსოდ წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური ექსპერტიზა – აპრილი- მაისი;
- ვ) კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ – მაისი- ივნისი;
- ზ) კომისიის შეფასების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ – მაისი-ივნისი;
- თ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება – მაისი-ივნისი;
- ი) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება – ივნისი.

2. რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

3. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს პროექტის კონკურსიდან მოხსნის პროცედურები, თუ:

- ა) პროექტი არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/წ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;
- ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

4. კონკურსის მონაწილე ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემებს ფონდი ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის ადმინისტრირების, გრანტის გაცემის, საგრანტო ხელშეკრულების მონიტორინგისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნებისათვის.

მუხლი 7. პროექტების შეფასება და გამარჯვებული პროექტების გამოვლენა

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტების შეფასება ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/წ ბრძანების მუხლი 10 შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

2. საკონკურსო კომისია იქმნება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საკონკურსო კომისიის წევრების შერჩევისა და მათი მუშაობის პრინციპი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/ნ ბრძანების მუხლი 7 და მუხლი 8 -ის შესაბამისად.
4. საკონკურსო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით, მოიწვიოს დამატებით დამოუკიდებელი ექსპერტები სათათბირო ხმის უფლების გარეშე, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია.
5. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს კონკურსის შედეგების გამოცხადებასა და კონკურსში მონაწილეთათვის საკონკურსო კომისიის შეფასებების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან - წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.
3. გამარჯვებული პროექტის გრანტის მიმღებს ავანსის სახით გადაერიცხება დამტკიცებული ბიუჯეტის ნაწილი (გრანტის მთლიან მოცულობას¹ გამოკლებული გრანტის მიმღები ძირითადი პერსონალის ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების 50%). საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება პირველადი დოკუმენტაციის თანხლებით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ფონდში წარდგენის, ფონდის მიერ მათი დადებითად შეფასებისა და შესაბამისი განხილვის აქტის გაფორმების შემდეგ.
4. გამარჯვებული პროექტის ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.
5. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს ცვლილება საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში.

მუხლი 9. ანგარიშგება და პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს განათლების,

¹ იგულისხმება ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსებისა და თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჯამი

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 13 იანვრის №2/ნ ბრძანებისა და გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით დარეგულირებული წესების შესაბამისად, განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, ღონისძიების ჩატარებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში ფონდს წარუდგინოს განხორციელებული ღონისძიების (ბეჭედდასმული და/ან ხელმოწერილი) ტექნიკური ანგარიში, რომელიც შედგება ფინანსური და პროგრამული ნაწილებისაგან.

3. ფინანსური და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გაწვევაზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები წამყვანი ორგანიზაცია, თანამონაწილე ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან ძირითადი პერსონალი.

4. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული აქტივობებისათვის გაწეული ხარჯების შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას ამავე ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შედეგების ამასახველი მასალის შესაბამისად.

5. ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა). ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე დასრულებიდან 3 წლის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს ინფორმაცია ზედნადები ხარჯების მუხლიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.

6. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

7. პროექტის საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ, 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 3 თვით გაგრძელების შესახებ, დამატებითი დაფინანსების გარეშე.

8. ფონდის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ ღონისძიებას.

მუხლი 10. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში შექმნილ მასალებზე/თეზისებზე, კრებულებზე მიუთითოს, რომ ღონისძიება განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ მასალებზე/თეზისებზე, კრებულებზე არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას.
2. პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაბეჭდ მასალაზე (ფლაერი, ბანერი, მოსაწვევი, შრომათა კრებული, და სხვ.), ასევე, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო.
3. საგრანტო პროექტის შესახებ სოციალურ მედიაში ინფორმაციის გავრცელებისას სავალდებულოა გამოყენებული იყოს „ჰაშტაგები“: #SRNSFG ან #რუსთაველის ფონდი ან #რუსთაველის გრანტი;
4. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი და/ან ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System) პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover Page

I გვერდი
ზოგადი ინფორმაცია
General Information

1	*ლონისძიების ფორმატი	უნდა აირჩეს ერთერთი: <ul style="list-style-type: none"> • კონფერენცია • კონგრესი • ფორუმი • სიმპოზიუმი • სამუშაო შეხვედრა • ვორქშოფი • სემინარი • სხვა
2	*ლონისძიების ტიპი (მონაწილე სუბიექტების მიხედვით)	უნდა აირჩეს ერთერთი: <ul style="list-style-type: none"> • ინსტიტუციონალური • ჯგუფური
3	*ლონისძიების სახელწოდება	
	*ლონისძიების სახელწოდება (ENG)	
4	*ლონისძიების ჩატარების ადგილი (ქალაქი)	
	*ლონისძიების ჩატარების ადგილი (ქალაქი) (ENG)	
5	*ლონისძიების დაწყების თარიღი	
	*ლონისძიების დასრულების თარიღი	
6	*პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	მაქსიმუმ 6 თვე
7	*აბსტრაქტი	სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400
	*აბსტრაქტი (ENG)	Maximum word count - 400
8	*საპროექტო წინადადება (PDF)	PDF ფაილის ატვირთვა

სამეცნიერო მიმართულებები	
ძირითადი მიმართულება	
9	*მიმართულება

10	*ქვე-მიმართულება	
11	კატეგორია	
12	მიმართულება (ENG)	
13	ქვე-მიმართულება (ENG)	
14	კატეგორია (ENG)	
დამატებითი მიმართულება 1		
15	დამატებითი მიმართულება 1	
16	დამატებითი ქვე-მიმართულება 1	
17	დამატებითი კატეგორია 1	
18	დამატებითი მიმართულება 1 (ENG)	
19	დამატებითი ქვე-მიმართულება 1 (ENG)	
20	დამატებითი კატეგორია 1 (ENG)	
დამატებითი მიმართულება 2		
21	დამატებითი მიმართულება 2	
22	დამატებითი ქვე-მიმართულება 2	
23	დამატებითი კატეგორია 2	
24	დამატებითი მიმართულება 2 (ENG)	
25	დამატებითი ქვე-მიმართულება 2 (ENG)	
26	დამატებითი კატეგორია 2 (ENG)	

საკვანძო სიტყვები		
მიუთითეთ მაქსიმუმ 5 საკვანძო სიტყვა. საკვანძო სიტყვები ეთითება სათითაოდ		
18		

II გვერდი ორგანიზაცია

თუ პროექტი ჯგუფურია, მაშინ ამ გვერდზე შესავსებია მხოლოდ ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წამყვანი ორგანიზაცია		
1	* წამყვანი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
2	* წამყვანი ორგანიზაცია	
	წამყვანი ორგანიზაცია (ENG)	
3	კვლევითი ინსტიტუცია	
	კვლევითი ინსტიტუცია (ENG)	
4	წამყვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
5	თანამდებობა	
6	წამყვანი ორგანიზაციის ვებგვერდი	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	მისამართი	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს)	შპს სტატუსი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელს

ინფორმაცია თანამონაწილე ორგანიზაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
1	* თანამონაწილე ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი	
2	* თანამონაწილე ორგანიზაცია	
	თანამონაწილე ორგანიზაცია (ENG)	
3	კვლევითი ინსტიტუცია	
	კვლევითი ინსტიტუცია (ENG)	
4	თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
5	თანამდებობა	
6	თანამონაწილე ორგანიზაციის ვებგვერდი	
7	ელ.ფოსტა	
8	ტელეფონი	
9	მისამართი	
10	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს)	შპს სტატუსი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელს

ინფორმაცია თანადამფინანსებელი იურიდიული პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
1	თანადამფინანსებელი იურიდიული პირის სახელწოდება	
2	იურიდიული სტატუსი (სსიპ, ა(ა)იპ, შპს)	
3	მისამართი	

4	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა
---	------------------	---------------------

ინფორმაცია თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)		
1	თანადამფინანსებელი ფიზიკური პირი (სახელი, გვარი)	
2	ელ. ფოსტა	
3	ტელეფონი	
4	თანხმობის წერილი	PDF ფაილის ატვირთვა

III გვერდი პერსონალი

ინსტიტუციონალური პროექტის შემთხვევაში პროექტს უნდა ჰყავდეს: ძირითადი პერსონალი, რომელთაგან ერთერთი უნდა იყოს პროექტის ხელმძღვანელი, პროექტს შეიძლება ჰყავდეს კოორდინატორი;

ჯგუფური პროექტის შემთხვევაში: პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის ხელმძღვანელი და/ან პროექტის კოორდინატორი.

თუ I გვერდზე ველში „ღონისძიების ტიპი (მონაწილე სუბიექტების მიხედვით)“ არჩეული იქნება „ჯგუფური“, მაშინ პირველი ცხრილი უნდა შეივსოს იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფურ პროექტს ეყოლება პროექტის ხელმძღვანელი

1. პროექტის ხელმძღვანელი	
* პროექტის ხელმძღვანელის პირადი ნომერი	
* პროექტის ხელმძღვანელის სრული სახელი	
* პროექტის ხელმძღვანელის სრული სახელი (ENG)	
* ელ ფოსტა	
* ტელეფონი	

თუ პროექტს ჰყავს პროექტის ხელმძღვანელი, მაშინ ის დაამატეთ ძირითად პერსონალშიც

2. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის შესახებ

№	პირადი ნომერი	სრული სახელი	პოზიცია პროექტში	აკადემიური ხარისხი	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსი (კი, არა)	დაბადები ს თარიღი	სქესი (მდედრ . მამრ.)	პროფესიული ბიოგრაფია (CV)
1			პროექტის ხელმძღვანელი					PDF ფაილის ატვირთვა
2			კოორდინატორი					PDF ფაილის ატვირთვა
3			ძირითადი პერსონალი					PDF ფაილის ატვირთვა

4								
---	--	--	--	--	--	--	--	--

3. ინფორმაცია დამხმარე პერსონალის შესახებ

№	პოზიცია პროექტში
1	
2	
3	

4. ინფორმაცია ძირითადი პერსონალის სქესის შესახებ

ძირითად რაოდენობა	პერსონალში	ჩართული	ქალების
ძირითად რაოდენობა	პერსონალში	ჩართული	კაცების

IV გვერდი გეგმა-გრაფიკი

ივსება GMUS-ში

